ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ბრძანება №228/01-01, 14.12.2016წ.

დანართი

2016/2017 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრისათვის სალერნოს უნივერსიტეტის (იტალია) მიერ ორმხრივი პარტნიორობის ფარგლებში თსუ-ს ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის სტუდენტებისათვის გამოყოფილი სტიპენდიების მიმღებთა (სტიპენდიატი)შესარჩევი კონკურსის ჩატარებისა და სტიპენდიატთა შერჩევის წესი

1. **კონკურსის მიზანი:**

კონკურსის მიზანია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბაკალავრიატის და მაგისტრატურის სტუდენტებს შორის სალერნოს უნივერსიტეტის მიერ გამოყოფილი სტიპენდიების მიმღებთა (სტიპენდიატი) შერჩევა 2016-2017 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრისთვის.

2. **კანდიდატი და სტიპენდიატი**

სტიპენდიატები შეირჩევიან კანდიდატთა შორის, რომლებმაც განაცხადი გააკეთეს საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტის მიერ გამოცხადებულ კონკურსზე.

3. **სტიპენდიატების შერჩევა**

სტიპენდიატთა შერჩევა ხორციელდება თსუ-ს საკონკურსო კომისიასთან გასაუბრების გზით შემდეგ კრიტერიუმებზე დაყრდნობით:

1) მოტივაციის წერილი
2) ზეპირი პრეზენტაცია (იტალიურ ენაზე)
3) აკადემიური მოსწრების საერთო საშუალო ქულა (GPA)

4. **კომისიის შეფასება**

ა) კომისია ახორციელებს კანდიდატის მოტივაციის წერილისა და ზეპირი პრეზენტაციის შეფასებას.

ბ) კანდიდატის მოტივაციის წერილისა და ზეპირი პრეზენტაციის შეფასება ხორციელდება არაუმეტეს 10 ქულით შემდეგი თანაფარდობით:

ბრწყინვალე -	10 ქულა
ძალიან კარგი -	9 ქულა
კარგი -	8 ქულა
დამაკმაყოფილებელი -	7 ქულა
საკმარისი -	6 ქულა
არადამაკმაყოფილებელი -	5 ქულა და ნაკლები

გ) თუ კანდიდატის მოტივაციის წერილი ან ზეპირი პრეზენტაცია შეფასებულ იქნება არადამაკმაყოფილებლად (5 ქულა და ნაკლები), მისი კანდიდატურა იხსნება შესარჩევი კონკურსიდან.

5. **გამარჯვებულის გამოვლენა**

სტიპენდიატების გამოვლენა ხდება შესარჩევი კომისიის შეფასების საფუძველზე.